

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ია მოსაშვილი, სსიპ ქუთაისის საიერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ია ფანცულაია, სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

დავით მაკასარაშვილი, სტუდენტი, სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2020

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	404535810
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ვახტანგ გორგასალის ქუჩა N9, თბილისი, ს/ი 0105, საქართველო
ვებ-გვერდი	http://eastwest.edu.ge/
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	2019 წლის 26 ივლისი, #26
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	2023 წლის 26 ივლისი

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	
ბაკალავრიატი	
მაგისტრატურა	
ერთსაფეხურიანი	
დოქტორანტურა	
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	
ქართულ ენაში მომზადების	
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა			
ბაკალავრიატი			
მაგისტრატურა			
ერთსაფეხურიანი			
დოქტორანტურა			
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)			
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა			
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა			

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის ჰ[48] პუნქტში

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა			

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	120
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	20
- პროფესორი	
- ასოცირებული პროფესორი	
- ასისტენტ პროფესორი	
- ასისტენტი	
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	
- მეცნიერი	
- პოსტდოქტორანტი	
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	13
- აფილირებული პროფესორი	
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	
- აფილირებული ასისტენტი	
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	4
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	61
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	22

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	8100.16კვ.მ
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	2112,13 კვ.მ; 2306,13კვ.მ; 1781,89 კვ.მ.
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	152.01კვ.მ; 1040კვ.მ; 708კვ.მ

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

<table>
<tr><td colspan="2">აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 20 აგვისტოს ბრძანების MES 1 20 0000711833 თანახმად შეიქმნა მონიტორინგის ექპერტთა ჯგუფი და მითითებულ ვადებში განხორციელდა შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსისტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის მოხსნასთან დაკავშირებით. შესწავლილი გარემოებების გათვალისწინებით მოხდა დასკვნის წარმოდგენა. აღნიშნული მონიტორინგი განხორციელდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მასალების განხილვით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-3 სტანდარტთან მიმართებით. 2020 წლის 11 სექტემბერს განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი უნივერსიტეტში, რომელიც უზრუნველყოფილ იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და უნივერსიტეტის ორგანიზებით და მხარდაჭერით. ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მასალები შესასწავლად და განსახილვევლად. ასევე, მათ მიერ გამოთხოვილ იქნა დოკუმენტები უნივერსიტეტიდან, რომელთა მიწოდება მოხდა დროულად.</td></tr>
<tr><td colspan="2">მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

× ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: 2019 წელი, 26 ივლისი

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: _____</td></tr>
<tr><td>უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):</td><td>აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:</td></tr>
<tr><td>გადახედეთ ადსუ-ს სტრუქტურულ ორგანიზაციას იმგვარად, რომ პროგრამების შემუშავების საბჭო/ჯგუფი ასრულებდეს ცენტრალურ როლს პროგრამის შემუშავებაში, განხორციელებასა და მიწოდებაში, ოფიციალური წარმომადგენლობით შესაბამისი დეპარტამენტიდან და უფრო მკაფიო ანგარიშვალდებულებით.</td><td>შესრულებულია. პროგრამის შემუშავებელი ჯგუფის წევრების ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია მათ მიერ დაკავებული პოზიციების შესაბამისად. შემუშავებულია უნივერსიტეტის აკადემიური მართვის სახელმძღვანელო, სადაც გაწერილია უნივერსიტეტის მართვის სტრატეგია, სახელმძღვანელო პრინციპები და პერსონალის მართვის პოლიტიკა და მონიტორინგის საკითხები.</td></tr>
<tr><td>გააუმჯობესეთ თანამონაწილეობრივი პროცესი პროგრამის დაგეგმვაში, დიზაინში,</td><td>ნაწილობრივ შესრულებულია. პროგრამას არ იცნობენ დამსაქმებლები.</td></tr>
</table>

შემუშავებასა და მიწოდებაში.	
უზრუნველყავით, რომ პროგრამის შემდგომი განვითარება ეფუძნებოდეს უმაღლესი განათლების უახლეს დარგობრივ მახასიათებლებს მედიცინაში.	**არ არის შესრულებული.** კლინიკური უნარ ჩვევები არ ისწავლება ცალკე 10 კრედიტი და კომუნიკაციური უნარები არ არის გამოყოფილი ასევე ცალკე საგნად.
მოაწესრიგეთ ადსუ-ს მიდგომა და გაგება PBL და CBL-ს მიმართ (მათ შორის PBL ჯგუფის სიდიდე და პროცესი).	**შესრულებულია.** ჯგუფის სიდიდე განსაზღვრულია 5-8 სტუდენტით. პროცესი დაგეგმილია და გაწერილია.
ჩამოაყალიბეთ სისტემატური მიდგომა პრობლემების/შემთხვევების შესამუშავებლად როგორც პრობლემაზე დაფუძნებული ჯგუფების, ისე შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლისათვის.	**ნაწილობრივ შესრულებულია.** დეტალები განხილული და დამტკიცებული იქნება, როცა მოიხსნება შეზღუდვა.
შეიმუშავეთ საკომუნიკაციო უნარების კურიკულუმი, რომელიც ინტეგრირებული იქნება როგორც ჰორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად. გააფართოვეთ არჩევითი კურსების არჩევანი როგორც ინგლისურენოვან, ისე ქართულენოვან პროგრამაში.	**არ არის შესრულებული.** საკომუნიკაციო უნარების სილაბუსი/სილაბუსები არ არის შემუშავებული. ამდენად ვერ გაირკვა როგორ მოხდება მისი ინტეგრირება. იგულისხმება რომ ისწავლება პირდაპირ მოდულებში კლინიკურ საგნებში კომპონენტებად. არჩევითი კურსები არ არის გაფართოებული.
შეიმუშავეთ ყოვლისმომცველი შეფასების მოდელი.	**შესრულებულია.** სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულია ყოვლისმომცველი შეფასების მათემატიკური მოდელი, სადაც ხდება გადაანგარიშება მიღებული ქულის შესაბამისი კოეფიციენტების გამოყენებით.
დაუყოვნებლივ მოახდინეთ შეფასების შემდეგ სფეროებში მუშაობის ინიცირება:	**ნაწილობრივ შესრულებულია,** რამდენადაც სწავლა არ მიმდინარეობს და გარკვეული სამუშაოების ინცირება საჭიროებს სტუდენტის არსებობას.
მართებული კითხვების ბანკის შექმნა;	**შესრულებულია.** კითხვების ბანკი შექმნილია.
პედაგოგთა მომზადება კითხვების ჩამოყალიბებაში და ობიექტური, სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) პლატფორმის აგებაში; ობიექტური სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის წრებრუნვის შემუშავება და პილოტირება ლოგისტიკისა და პრაქტიკის შესასწავლად;	**ნაწილობრივ შესრულებულია.** დაწყებულია მუშაობა, მომზადებულია ოთახი, დანიშნულია კლინიკური უნარ-ჩვევების გამოცდის ხელმძღვანელი, რომელიც ჩაატარებს ტრეინინგებს. თუმცა უნივერსიტეტის მიერ გაჟღერებული იქნა, რომ პილოტირება ლოგისტიკისად პრაქტიკის შესასწავლად შესაძლებელია და მოხდება უშუალოდ როცა ჩატარდება გამოცდა მანამდე 1-2კვირით ადრე.
ობიექტური სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის დამკვირველების ტრენინგი;	**ნაწილობრივ შესრულებულია.** დაგეგმილია ტრეინინგების ჩატარება, როცა მოიხსნება შეზღუდვები სტუდენტთა მიღებაზე
ზეპირი გამოცდების, პორტფოლიოსა და აღრიცხვის ჟურნალების შეფასებისათვის კრიტერიუმების განსაზღვრა;	**შესრულებულია.** განსაზღვრულია შესაბამისი ქულობრივი სისტემით და ჩაშლილია თითოეული ქულა.
შეფასების ყველა გამოსაყენებელი	**შესრულებულია.** შემუშავებულია და

მეთოდისათვის შესაბამისი სტანდარტების შექმნის სისტემის შემუშავება.	წარმოდგენილია დანართი 7.
გადახედეთ საგამოცდო ბილეთების შედგენის პროცესს იმგვარად, რომ მას ზედამხედველობდეს უფროსი აკადემიური პერსონალი.	**შესრულებულია.** საგამოცდო ბილეთების შექმნას ზედამხედველობას უწევს პროფესორი შესაბამის დარგში.
შემოიღეთ უფროსი აკადემიური თანამდებობა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს შეფასების გრაფიკის დიზაინს, შემუშავებას, მიწოდებასა და ხარისხის უზრუნველყოფას.	**ნაწილობრივ შესრულებულია.** შექმნილია კლინიკური უნარ-ჩვევების საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობა, რომელიც გაუწევს ზედამხედველობას. ასევე დაგეგმილია საგამოცდო ცენტრის შექმნა, რომელსაც ეყოლება უფროსი. ინტერვიუს დროს შევხვდით ამ პიროვნებას. მას აქვს გამოცდილება სხვა უნივერსიტეტში მუშაობის შესაბამის თანამდებობაზე.
უზრუნველყავით, რომ აკადემიური, მოწვეული და მმართველი ორგანოები სრულიად იცნობდნენ შეფასების სისტემას.	**ნაწილობრივ შესრულებულია.** აკადემიური პერსონალი იცნობს შეფასების სისტემას, მაგრამ ზრულად გასააზრებლად დაგეგმილია უფრო მეტი ტრეინინგების ჩატარება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

- უნივერსიტეტის ყველა ოფიციალური დოკუმენტი იყოს დათარიღებული და დამტკიცებული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის პასუხისმგებელი პირის მიერ;
- პროგრამაში ჩართული ყველა პერსონალი დეტალურად იცნობდეს პროგრამის განხორციელებისთვის შემუშავებულ სწავლების მეთოდოლოგიას;
- პროგრამის ამოქმედების შემთხვევაში, სტრუქტურული ერთეულების წამყვან პოზიციებზე დაკავებული პერსონალი ემსახურებოდეს აღნიშნული უნივერსიტეტის საქმიანობას საქართველოში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად;
- გათვალისწინებულ იქნას პროგრამის შემუშავებაში ჩართული დამსაქმებლების მოსაზრებები პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და იმპლემენტაციისას;
- შემუშავებულ იქნას აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების კრიტერიუმები;
- უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურაში აისახოს შინაარსობრივი კავშირები ქვედა რგოლის ადმინისტრაციულ სამსახურებს შორის;
- გაფართოვდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სივრცე, აღიჭურვოს ყველა საჭირო ინვენტარით და გაიზარდოს წიგნადი ფონდი.
- უზრუნველყავით, რომ პროგრამის შემდგომი განვითარება ეფუძნებოდეს უმაღლესი განათლების უახლეს დარგობრივ მახასიათებლებს მედიცინაში;
- შეიმუშავეთ საკომუნიკაციო უნარების კურიკულუმი, რომელიც ინტეგრირებული იქნება როგორც ჰორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად.
- აკადემიური პერსოანლისათვის რეკომენდებულია PBL და CBL სესიებისა და ინტეგრირერბული კურიკულუმის შესახებ ტრეინინგების ჩატარება;
- გააფართოვეთ არჩევითი კურსების არჩევანი როგორც ინგლისურენოვან, ისე ქართულენოვან პროგრამაში;

- შეფასების სისტემა ითვალისწინებდეს დარგის სპეციკას და არ იყოს სტანდარტული ყველა საგნისათვის;
- შემოიღეთ უფროსი აკადემიური თანამდებობა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს შეფასების გრაფიკის დიზაინს, შემუშავებას, მიწოდებასა და ხარისხის უზრუნველყოფას.
- რეკომენდებულია მომზადებული იქნას საკუთარი კლინიკური უნარჩვევების ცენტრი, სადაც მოხდება ასევე OSCE-ის პილოტირება და ჩატარების თვის მომაზადება;
- დაიგეგმოს მეტი ტრენიგები, რათა მმართველი ორგანოები კარგად იცნობდნენ შეფასების სისტემას.

რჩევები

-

საუკეთესო პრაქტიკა

-

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება		☐	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა		☐	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	☐	☐
3. საგანმანათლებლო პროგრამები		☐	☐	×	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	×	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	×	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	×	☐
4. უსდ-ის პერსონალი		☐	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☐	☐
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები		☐	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა		☐	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☐	☐

7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ია მოსაშვილი (თავმჯდომარე)
2. ია ფანცულაია (წევრი)
3. დავით მაკასარაშვილი (წევრი)



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

3.საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: 3.1სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით წინა ავტორიზაციისას გაიცა შემდეგი რეკომენდაციები: - გადახედეთ ადსუ-ს სტრუქტურულ ორგანიზაციას იმგვარად, რომ პროგრამების შემუშავების საბჭო/ჯგუფი ასრულებდეს ცენტრალურ როლს პროგრამის შემუშავებაში, განხორციელებასა და მიწოდებაში, ოფიციალური წარმომადგენლობით შესაბამისი დეპარტამენტიდან და უფრო მკაფიო ანგარიშვალდებულებით. - გაუმჯობესეთ თანამონაწილეობრივი პროცესი პროგრამის დაგეგმვაში, დიზაინში, შემუშავებასა და მიწოდებაში. აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ პირველი რეკომენდაციის შესრულების მიზნით, 2019 წელს შეიქმნა აკადემიური საბჭო, სადაც განიხილებოდა დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამის შემუშავების საკითხები. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შემუშავების პროცესს ხელმძღვანელობს პროგრამის ხელმძღვანელი კონსულტანტთან ერთად და ჩართულნი არიან როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი. ინტერვიუების დროს ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ პროგრამის შემუშავების ეტაპზე მიმდინარეობდა გუნდური სამუშაოები, ისინი პანდემიამდე ყოველი კვირის ხუთშაბათს იკრიბებოდნენ პროგრამის ხარვეზების გამოსწორების მიზნით. პანდემიის პირობებში კი გაგრძელდა ონლაინ შეხვედრები და საჭიროების შემთხვევაში პირისპირ შეხვედრეებიც კი. შეიქმნა თვითშეფასების კითხვარის გაუმჯობესებული რედაქციის მოსამზადებელი ჯგუფი, სადაც შედიან როგორც ადმინისტრაციული პერსონალი, კერძოდ, არსებული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები. უნივერსიტეტის მხირდან ასევე წარმოდგენილია 2019 წლის 19 სექტემბრის აკადემიური საბჭოს ოქმი, სადაც თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ არის საუბარი. პროგრამის ჯგუფი შედგება რექტორის, პროგრამის ხელმძღვანელის, დეკანის, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორებისგან და მოწვეული პროფესორისგან.

უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესი დოკუმენტები, რითაც უნდა დადასტურდეს ამ ჯგუფების უფებამოსილება, არის უბრალოდ ფაილი, თარიღის და დამამტკიცებელი ორგანოს ბეჭდისა და ოფიციალური პირის ხელმოწერის გარეშე, რაც აჩენს დამატებით კითხვებს დოკუმენტების ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით. მიუხედავად ასეთი სახით წარმოდგენილი დოკუმენტებისა, დამატებით კიდევ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება - ის, რომ პროგრამის შემუშავებული ჩართული პერსონალი დასაქმებულია სხვა სასწავლებლებშიც და/ან სამედიცინო დაწესებულებებში და ინტერვიუს დროს ძირითადად მათ უკვე დასაქმების ადგილზე არსებულ გამოცდილებაზე ამახვილებენ ყურადღებას. სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიას, რომელსაც ისინი იყენებენ სხვა სასწავლებლების სტუდენტებისათვის, მზად არიან, რომ გამოიყენონ აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტშიც. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდა პროგრამის შეფასების სისტემა, ისევე, როგორც სხვადასხვა სახის კითხვარები პერსონალისათვის, უნივერსიტეტის მისიის და საგანამანათლებლო პროგრამის შეფასება და მისი ანალიზი. როგორც ინტერვიუების დროს ირკვევა, გამოკითხვები ჩატარდა კიდეც და მიღებულია შედეგები, რომელთა ანალიზის საფუძველზე პროგრამის განხორციელების პროცესში მოხდება მათზე რეაგირება, რადგან ისინი უშუალოდ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხებია. ანალიზის დოკუმენტის თანახმად, კითხვარი შევსებულია 90 თანამშრომის მიერ. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის მიზნები უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის უმრავლეს შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უნივერსიტეტის პედაგოგებისათვის უმრავლეს შემთხვევაში ლოგიკურია ან მეტწილად ლოგიკურია. დოკუმენტს თან ერთვის დამოუკიდებლობის ტესტები, რომლის თანახმად, თანამშრომლის სტატუსი და პროგრამის მიზნების შეფასება არ არის დამოკიდებული, პედაგოგის სტატუსი და პროგრამის საერთო შეფასება დამოკიდებულია. აქვე უნდა აღინიშნოს, ზოგიერთი ადმინისტრაციული ერთეულის მონაწილეობა მხოლოდ პროგრამის დაგეგმვაში, რადგან მათი საქმიანობაც სრულად უკავშირდება მიმდინარე სასწავლო პროცესს, ასეთია, მაგალითად დეკანატის მუშაობა, რომლისპერსონალიც დეკანატის განვითარების და მისი ფუნქციების სწორად წარმართვისათვის გამოთქვამს აზრს, რომ მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტი დაიწყებს პროგრამის/პროგრამების განხორციელებას, ისინი ამ გამოცდილებას დააგროვებენ სხვა უნივერსიტეტების დეკანატებთან თანამშრომლობით და მათი გამოცდილების გაზიარების გზით. დღეის მდგომარეობით, ამ სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლები პარალელურად სხვა ორგანიზაციებში იკავებენ სამსახურებრივ პოზიციებს. ინტერვიუს დროსს, მათ აღნიშნეს, რომ როგორც კი პროგრამა განხორციელდებას დაიწყებს, ისინი სრულად დაკავდებიან აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტში. მიუხედავად, ამისა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს საკითხი საფრთხეს უქმნის პროგრამის მდგრადობას და განვითარებას. პროგრამის შემუშავებაში არ არიან ჩართული დამსაქმებლები, რაც მათთან ინტერვიუდან იკვეთება, რამეთუ ისინი არ იცნობენ პროგრამას. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს მათი პროგრამის განხორციელებაში ხელშეწყობის მზაობა. ყველა დამსაქმებელი პირდაპირ არის დაკავშირებული უნივერსიტეტის დამფუძნებლებთან და ისინი არიან ამავე უნივერსიტეტის მფლობელების სხვა ბიზნესების ადმინისტრაციული პერსონალი. მიუხედავად იმისა, რომ ეს გარკვეულწილად ძლიერ მხარედაც კი შეიძლება ჩაითვალოს, მაინც გასათვალისწინებელია ის, რომ მათი ჩართულობა უნივერსიტეტის საქმიანობაში უნდა იყოს მაღალი.

უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, სადაც გაწერილი აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმები, ისევე, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმები, რაც საბოლოოდ პროგრამის განვითარებისთვის ხელშემწყობი იქნება. ამ მექანიზმის მიხედვით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა ფასდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ყოველწლიურად, როგორც სტუდენტთა სემესტრული გამოკითხვების, სასწავლო პროცესის განხორციელებაზე დაკვირვების, ასევე მათი კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე. მიუხედავად ამ არსებული მექანიზმისა, შეფასების კრიტერიუმები გასაწერია, რაც ნათელს გახდის ამ მექანიზმის რელევანტურობას.

უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა საჭიროებს დახვეწას, რაც წინა ავტორიზაციის დასკვნაშიც იკითხება. ექსპერტთან ჯგუფმა გამოითხოვა განახლებული სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც პირდაპირი კავშირები სხვადასხვა სამსახურებს შორის, მათ შორის მედიცინოს სკოლასთან არ არის ნაჩვენები. აღნიშნული საკითხი კი პირდაპირ აისახება პროგრამის დაგეგმვის, დიზაინის, შემუშავების თუ შემდგომ მისი იმპლემენტაციის პროცესზე.

აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტი საწყის ეტაპზე გეგმავს 2 პროგრამის განხორციელებას. აქედან ერთმა ვერ გაიარა აკრედიტაცია, ხოლო მეორე პროგრამის ავტორიზაციის გზით დამატებაზე აქვს განაცხადი შეტანილი. დღეის მდგომარეობით, უნივერსიტეტმა წარმოადგინა დიპლომირებული

მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამის მოთხოვნის შეფასება, სადაც მოყვანილია მაგალითები, თუ რამდენად საჭიროა აღნიშნული პროგრამა, როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიო ბაზრისათვის. ასევე, წარმოდგენილია პროგრამის შეფასება პოტენციური დამსაქმებლების მიერ, საიდანაც ჩანს, რომ 20-მა პოტენციურმა დამსაქმებელმა შეაფასა ის, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს შეხვედრებმა დამსაქმებმებთან (წარმოდგენილი იყო 3 დამსაქმებელი) ეს ვერ დაადასტურა. პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაში ჩართულია: იურიდიული სამსახური - შემუშსავებულია/დახვეწილია უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციები პროგრამასთან მიმართებით; ადამიანური რესურსების მართვის და საქმმისწარმოების სამსახური - ჩატარებულია ღია კონკურსები აკადემიური პოზიციების დასაკავებლად; საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური - პროგრამის ბიუჯეტის დაგეგმვასა და შემუშავებაშია ჩართული; ინფორმაციული ტექნოლოგიების და პროგრამული უზრუნველყოფის სამსახური - შემუშავებულია ელექტრონული სისტემა, სადაც წვდომა ექნებათ ადმინისტრაციულ, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს და სტუდენტებს; აღნიშნული სისტემა მუშა მდოგმარეობაშია. ექსპერტთა ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ ვებ გვერდზე გასაწორებელი იყო ინფორმაცია და ვიზიტის დასრულებადე იქნა აღნიშნული საკითხი მოგვარებული. რაც შეეხება ბიბლიოთეკას, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია პროგრამის განხორციელების პროცესში, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს აქვს სახელმძღვანელოების და სხვა საჭირო მასალების ელექტრონული ბაზა, მატერიალურად, წიგნადი ფონდი ძალიან მწირია. ასევე, ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე, რომელიც არის პატარა და ვიწრო იმისთვის, რომ იქ სრულფასოვნად იმუშაოს სტუდენტემა. ბიბლიოთეკა არ არის აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით (სკანერი, პრინტერი და ა.შ.) თუმცა ბიბლიოთეკარმა აღნიშნა, რომ ნაყიდი აქვთ და მალე დადგამენ. ასევე, ბიბლიოთეკას აქვს წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან. სასწავლო მასალები, კერძოდ, სახელმძღვანელოები ელექტრონული სახით არის წარმოდგენილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - ბრძანება აკადემიური საბჭოს შექმნის შესახებ; - აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი N1; - კითხვარი უნივერსიტეტის მისიის შესაფასებლად; - უნივერსიტეტის მისიის შეფასება; - თვითშეფასების კითხვარის მოსამზადებელი ჯგუფის შექმნის დოკუმენტი; - პროგრამის ჯგუფის შექმნის დოკუმენტი; - ხარისხის შიდა მექანიზმები; - დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამის მოთხოვნის შეფასება; - პროგრამის შეფასება პოტენციური დამსაქმებლების მიერ; - პროგრამის შეფასება უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ; - ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: - უნივერსიტეტის ყველა ოფიციალური დოკუმენტი იყოს დათარიღებული და დამტკიცებული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის პასუხისმგებელი პირის მიერ; - პროგრამაში ჩართული ყველა პერსონალი დეტალურად იცნობდეს პროგრამის განხორციელებისთვის შემუშავებულ სწავლების მეთოდოლოგიას; - პროგრამის ამოქმედების შემთხვევაში, სტრუქტურული ერთეულების წამყვან პოზიციებზე დაკავებული პერსონალი ემსახურებოდეს აღნიშნული უნივერსიტეტის საქმიანობას საქართველოში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად; - გათვალისწინებულ იქნას პროგრამის შემუშავებაში ჩართული დამსაქმებლების მოსაზრებები პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და იმპლემენტაციისას; - შემუშავებულ იქნას აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების კრიტერიუმები;

- უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურაში აისახოს შინაარსობრივი კავშირები ქვედა რგოლის ადმინისტრაციულ სამსახურებს შორის;

- გაფართოვდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სივრცე, აღიჭურვოს ყველა საჭირო ინვენტარით და გაიზარდოს წიგნადი ფონდი.

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

× ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.2 სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- უზრუნველყავით, რომ პროგრამის შემდგომი განვითარება ეფუძნებოდეს უმაღლესი განათლების

უახლეს დარგობრივ მახასიათებლებს მედიცინაში;

- მოაწესრიგეთ ადსუ-ს მიდგომა და გაგება PBL და CBL-ს მიმართ (მათ შორის PBL ჯგუფის სიდიდე

და პროცესი);

- ჩამოაყალიბეთ სისტემატური მიდგომა პრობლემების/შემთხვევების შესამუშავებლად, როგორც

პრობლემაზე დაფუძნებული ჯგუფების, ისე შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლისათვის;

- შეიმუშავეთ საკომუნიკაციო უნარების კურიკულუმი, რომელიც ინტეგრირებული იქნება, როგორც

ჰორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად;

- გააფართოვეთ არჩევითი კურსების არჩევანი როგორც ინგლისურენოვან, ისე ქართულენოვან პროგრამაში.

აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტმა წარმოადგინა დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამა დამტკიცებულია 2019 წლის 19 სექტემბერს. პროგრამის სტრუქტურა აგებულია საქართველოში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების პრინციპით. პროგრამა შედგება სწავლის მიზნებისა და შედეგებისაგან, სწავლა-სწავლების

მეთოდებისაგან, შეფასების სისტემისაგან.

უნივერსიტეტმა ავტორიზაციის ექსპერტების გაცემული რეკომენდაციები პროგრამის შინაარსობრივ ნაწილში შეასრულა ნაწილობრივ. კერძოდ:

1. პირველი არჩევითი საგანი ისევ დარჩა სასწავლო გეგმაში მეოთხე სემესტრში და არ იქნა მისი გადმონაცვლება პირველივე აკადემიური წელს.
2. არ მოხდა კლინიკური უნარებისთვის ცალკე 10 კრედიტის გამოყოფა, როგორც მოითხოვს მედიცინის დარგობრივი დოკუმენტი. ამ ფაქტს უნივერსიტეტი ხსნის შემდეგნაირად:
   ცალკე საგანი კლინიკური უნარები გამოყოფილად ისწავლება მეხუთე სემესტრიდან და ეთმობა 4 კრედიტი. გარდა ამისა, ისინი თვლიან, რომ „კლინიკური უნარების სწავლება მიმდინარეობს არა მხოლოდ კონკრეტულად ამ დასახელების მქონე კურსის ფარგლებში. ეს ხდება ბევრი სხვა კურსის შესწავლისას. შესაბამისად პროგრამაში კლინიკური უნარების შესწავლას ეთმობა შემდეგი კრედიტები: „კლინიკური უნარები 1,2,3“ - 4 კრედიტი; „კლინიკური დიაგნოსტიკის საფუძვლები“ 1 კრედიტი ეთმობა კლინიკური უნარებს; „შინაგან დაავადებათა პროპედევტიკა 1, 2, 3, 4“ თითოეულში 0.5 კრედიტი ეთმობა კლინიკურ უნარებს; „ზოგადი ქირურგია“ 2 კრედიტი ეთმობა კლინიკურ (ქირურგიულ) უნარებს; „ტრავმატოლოგია და ორთოპედია“ 1 კრედიტი ეთმობა კლინიკური უნარებს; „ბავშვთა ქირურგია“ 0.5 კრედიტი ეთმობა კლინიკური უნარებს; „აბდომინალური ქირურგია“ 0.5 კრედიტი ეთმობა კლინიკურ (ქირურგიულ) უნარებს; „ნევროლოგია“ 0.5 კრედიტი ეთმობა კლინიკური უნარებს; „გინეკოლოგია“ 1 კრედიტი ეთმობა კლინიკური უნარებს და ასე შემდეგ. საბოლოოდ, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით კლინიკური უნარების სწავლება გაფანტულია სხვასხვა კლინიკურ საგნებში და სულ მცირე 16.5 კრედიტი.
   თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით „აუცილებელია კურიკულუმში, ექვსწლიანი სწავლის განმავლობაში, კლინიკური უნარების ასათვისებლად გათვალისწინებული იყოს არანაკლებ 10 კრედიტისა კლინიკური უნარების ცენტრში/ლაბორატორიაში სწავლებისთვის“.
   გარდა ამისა, დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „ინტეგრირებული განათლება სწავლების პირველივე წლიდან გულისხმობს სტუდენტების მიერ კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას. უნარ-ჩვევების სირთულე კურსიდან კურსზე გადასვლისას მატულობს“. წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით კლინიკური უნარ ჩვევების სწავლება იწყება მოგვიანებით და არა პირველივე კურსიდან.

3. რაც შეეხება სამეცნიერო კომპონენტის განვითარებას, აქაც ეს საგანი ისწავლება სხვადასხვა კურსებში და ჯამურად მოიცავს 10 კრედიტს:
   - სამეცნიერო კვლევის საფუძვლები
   - ბიოსტატისტიკა
   - სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობა
4. საკომუნიკაციო უნარების საგანი ცალკე გამოყოფილი არ არის, აქაც მოიაზრება რომ ამ უნარებს სტუდენტები სხვადასხვა საგნების სწავლები პროცესში შეასრულებენ.
5. რაც შეეხება რეკომენდაციას რომელიც ითვალისწინებდა PBL და CBL სესიების დროს სტუდენტების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მოწოდებას, აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დრო გაირკვა, რომ ეს რეკომენდაცია გათვალისწინებულია და დაგეგმილია ამ სესიების ჩატარება მცირე ჯგუფებში (5-დან 8-მდე). სტუდენტები იმუშავებენ ჯგუფურად მასწავლებლის/მოდერატორის დახმარებით კლინიკური პრობლემების/შემთხვევების სერიებზე. როგორც ინტერვიუს პროცესის დროს გაირკვა, აღნიშნული სისტემის და ინტეგრირებული კურიკულუმის სრულყოფილად განსახორციელებლად საჭიროა აკადემიური პერსონალისწინასწარი მომმზადება და/ან ტრენინგები. რომელიც უნივერსიტეტს დაგეგმილი აქვს, თუმცა ჯერ არ განხორციელებულა უნივერსიტის მიერ განმარტებული იქნა რომ შეზღუდვის მოხსნის შემთხვევაში აკადემიური პერსონალი მზადყოფნას გამოთქვამს PBL/CBL მეთოდების დასაუფლებლად.

ამდენად რეკომენდაციების შინაარსობრივ ნაწილში შესრულებულია ნაწილობრივ, რაც ასევე უნივერსიტეტის მიერ განპირობებულია იმ გარემოებით რომ უნივერსიტეტი ჯერ არ გახსნილა და

სტუდენტები არ მიუღიათ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - საქაღალდე: დანართი 6 - ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: - უზრუნველყავით, რომ პროგრამის შემდგომი განვითარება ეფუძნებოდეს უმაღლესი განათლების უახლეს დარგობრივ მახასიათებლებს მედიცინაში; - შეიმუშავეთ საკომუნიკაციო უნარების კურიკულუმი, რომელიც ინტეგრირებული იქნება როგორც ჰორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად. - აკადემიური პერსონალისათვის რეკომენდებულია PBL და CBL სესიებისა და ინტეგრირერბული კურიკულუმის შესახებ ტრეინინგების ჩატარება; - გააფართოვეთ არჩევითი კურსების არჩევანი როგორც ინგლისურენოვან, ისე ქართულენოვან პროგრამაში.
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან × ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.3 სწავლის შედეგების შეფასება
უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: წინა ავტორიზაციის დროს გაცემული რეკომენდაციები: • შეიმუშავეთ ყოვლისმომცველი შეფასების მოდელი. • დაუყოვნებლივ მოახდინეთ შეფასების შემდეგ სფეროებში მუშაობის ინიცირება: მართებული კითხვების ბანკის შექმნა; • პედაგოგთა მომზადება კითხვების ჩამოყალიბებაში და ობიექტური, სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) პლატფორმის აგებაში; • ობიექტური სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის წრებრუნვის შემუშავება და პილოტირება ლოგისტიკისა და პრაქტიკის შესასწავლად; • ობიექტური სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის დამკვირველების ტრენინგი; ზეპირი გამოცდების, პორტფოლიოსა და აღრიცხვის ჟურნალების შეფასებისათვის კრიტერიუმების განსაზღვრა; • შეფასების ყველა გამოსაყენებელი მეთოდისათვის შესაბამისი სტანდარტების შექმნის სისტემის შემუშავება. • გადახედეთ საგამოცდო ბილეთების შედგენის პროცესს იმგვარად, რომ მას ზედამხედველობდეს

უფროსი აკადემიური პერსონალი.

- შემოიღეთ უფროსი აკადემიური თანამდებობა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს შეფასების გრაფიკის დიზაინს, შემუშავებას, მიწოდებასა და ხარისხის უზრუნველყოფას.
- უზრუნველყავით, რომ აკადემიური, მოწვეული და მმართველი ორგანოები სრულიად იცნობდნენ შეფასების სისტემას.

მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტის მიერ გაწეული იქნა გარკვეული სამუშაოები ამ მიმართულებით და მოხდა რიგი რეკომენდაციების გათვალისწინება: კერძოდ,

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ შემუშავებული იქნა სპეციალური მათემატიკური მოდელი, რომელშიც გათვალისწინებულია მოდულში შემავალი დისციპლინების წილობრივი კრედიტები შესაბამისი კოეფიციენტების სახით: ასე მაგალითად:

„დამოუკიდებელი საგნის ან მოდულის შემადგებლობაში შემავალი საგნების საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების შეწონილ ჯამს და გამოითვლება შემდეგი ფორმულით F=0.6M+0.4E, სადაც M არის შუალედური შეფასება და E არის დასკვნითი გამოცდის შეფასება (სავალდებულოა, რომ ორივე მათგანი არ იყოს 50%-ზე ნაკლები).

შუალედური და დასკვნითი შეფასება სხვადასხვა საგნებში, როგორც წესი, შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: T - ტესტების შეფასება, Q - ღია კითხვების შეფასება და PC - ქეისების/ პრობლემების ანალიზის შეფასება, Log - ლოგ-ბუქის/ პორტფოლიო/პირდაპირი დაკვირვების ანგარიშის შეფასება, Pr - პრეზენტაციის შეფასება, OSCE - კლინიკური უნარების გამოცდები. მათი გამოთვლის წესები და დავალებების რაოდენობები დაზუსტებულია თითოეულ სილაბუსში. შეფასების კომპონენტები გამოითვლება როგორც სტუდენტის მიერ ამ კომპონენტის მაქსიმალური ქულის პროცენტი“ (დანართი 7).

სტუდენტთა შეფასება განხორციელდება უკვე შემუშავებული წესითა და პროცედურებით, რაც კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაშია. თითოეული კომპონენტის შეფასება ჩაშლილია ქულების გრადაციიის მიხედვით და გამჭვირვალეა (დანართი 7). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა კლინიკური და ბაზისური საგანი საბოლოო გამოცდაზე ფასდება ერთნაირი კომპონენტებით: MCQ (მრავალვარიანტული ტესტური შეკითხვები) - 10, ღია კითხვები -5 და ქეისი - 3 ქულა. ინტერვიუს პროცესში აკადემიურ პერსონალთან საუბრისას გამოვლინდა, რომ მათ მოსწონთ შეფასების სისტემა, თუმცა რამდენად ითვალისწინებს ასეთი სტანდარტული მიდგომა თითოეული საგნის სპეციფიკას და უზრუნველყოფს თუ არა ის წინასწარ განსაზღვრული კომპეტენციებისა და სწავლის შედეგების მიღწევას ნათელი არ არის. ამასთანავე, კითხვებს ბადებს შეფასების მეთოდში გამოყენებული მათემატიკური ფორმულების სიმრავლე და ის, თუ რამდენად ცალსახა და აღქმადი იქნება ის სტუდენტებისათვის. ასევე ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ აკადემიური პერსონალს ჭირდება მეტი ტრეინინგები შეფასების სისტემის გასაგებად და დარგის სპეციფიკის ჩასასმელად.

უნივერსიტეტის მიერ რეკომენდაციის შესაბამისად მოხდა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) შეტანა ფორმით იმ საგნებში, რომელიც უშუალოდ პრაქტიკული კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას ემსახურება და უნივერსიტეტმა ამ მიზნით შემდეგი სამუშაოები ჩაატარა:

1. კლინიკური გამოცდების ცენტრის დებულების შექმნა;

2. გამოცდების ცენტრის ხელმძღვანელად დანიშნა აკადემიური პერსონალი, რომელსაც OSCE-ს გამოცდების ჩატარების გამოცდილება აქვს;

3. მომზადდა OSCE-ს ტიპის გამოცდების ჩატარების ინსტრუქციები;

4. კლინიკური უნარ-ჩვევების გამოცდების ფუნქციონირებისათვის გამოიყო შესაბამისი ფართი ალადაშვილის კლინიკაში და დაიგეგმა მისი აღჭურვა (თუმცა ჩვენ ვიზიტის ფარგლებში არ გვინახავს ეს

ფართი).

გარდა ამისა, როგორც ფინანსური სამსახურიდან დაგვიდასტურეს მომავალში ინვესტიციის დონეზე გაწერილია საგამოცდო ცენტრის მოწყობა ბალნეოლოგიური კლინიკის ტერიტორიაზე. სადგურების რაოდენობა სავარაუდოდ რასაც თვითონ ადასტურებენ და ასევე გაწერილი აქვთ მინიმუმ 10. დაგეგმილია ტრეინინგების ჩატარება თანამშრომლებისათვის. ინტერვიუს პროცესში გაირკვა, რომ პერსონალის ტრეინინგები, გამოცდის პილოტირება და სხვა ქმედებები მხოლოდ დაგეგმვის ფაზაშია. განხორციელდება მას შემდეგ, რაც მოიხსნება შეზღუდვა და სტუდენტები დაიწყებენ სწავლას.

ინტერვიუს დროს აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა რომ სტუდენტი ელექტრონული ჟურნალის საშუალებით ინფორმირებული იქნებიან მიმდინარე და საბოლოო ქულებზე, როგორც კი ლექტორები შეიტანენ შეფასებას.

უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს დ.ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტთან და გეგმავს მომავალში ასევე პარტნიორ უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარებისა და კოოპერაციის გზით OSCE-ს ჩატარება.

რაც შეეხება შეკითხვების/ქეისების/პრობლემების/თემების მონაცემთა ბაზას, უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული იქნა შეკითხვების ბაზა, რომელიც ნაწილი შესყიდული იქნა, ნაწილი მომზადებულია აკდემიური პერსონალი მიერ, ვისაც აქვს მრავალწლიანი სხვა უნივერსიტეტში მოღვაწეობის გამოცდილება. ასევე უნივერსიტეტი გეგმავს პერსონალის ტრენინგების ამ მიმართულებით. ინტერვიუების მიხედვით, საგამოცდო საკითხების სპეციფიკის შემუშავება და ხარისხზე პასუხისმგებლობა სასწავლო კურსის/მოდულის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს ევალება. რეკომენდაცია, რომ შემოღებულ იქნას აკადემიური თანამდებობა ან სტრუქტურა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს აღნიშნულ პროცესს, რამდენადაც ექსპერტთა ჯგუფისთვის არის ცნობილი, არ შესრულებულა.

უნივესიტეტს დოკუმენტრად გაწერილი აქვს შეფასების გასაჩივრების სისტემა, თუმცა სტუდენტური კონტიგენტის არარსებობიდან გამომდინარე პრაქტიკაში შეფასება, ცხადია, შეუძლებელია.

ამდენად, უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებული იქნა რეკომენდაციების ნაწილი. ამავდროულად, ვიზიტის დროს გაირკვა, რომ რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი რჩება შეუსრულებელი, რადგან უნივერსიტეტში თვლიან რომ მხოლოდ რეალური სასწავლო პროცესის დაწყების შედეგად მოხდება ყველა ხარვეზის გამოვლენა და გამოსწორება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქაღალდე: დანართი 7
- ინტერვიუს შედეგები
- პროგრამა და სილაბუსები

რეკომენდაციები:

- შეფასების სისტემა ითვალისწინებდეს დარგის სპეციკას და არ იყოს სტანდარტული ყველა საგნისათვის;
- შემოიღეთ უფროსი აკადემიური თანამდებობა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს შეფასების გრაფიკის დიზაინს, შემუშავებას, მიწოდებასა და ხარისხის უზრუნველყოფას.
- რეკომენდებულია მომზადებული იქნას საკუთარი კლინიკური უნარჩვევების ცენტრი, სადაც მოხდება ასევე OSCE-ის პილოტირება და ჩატარების თვის მომაზადება;
- დაიგეგმოს მეტი ტრენიგები, რათა მმართველი ორგანოები კარგად იცნობდნენ შეფასების სისტემას.

რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან × **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1						
2						
3						
4						
5						